ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულება № 191 -13/1
(რეგიონი)

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2016 წ.

ჩვენ, ერთი მხრივ, **ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის რემა ღვამიჩავას სახით და მეორე მხრივ, შპს ქალთა ჯანმრთელობის ცენტრი ჰერა (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინე დავითულიანის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის „დ“ პუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ეროვნული სკრინინგ-ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 იანვრის №17 განკარგულების, „2016 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №660 დადგენილების და სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ და ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრს“ შორის 2016 წლის 29 თებერვალს გაფორმებული №191 ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები“ (CPV 85100000).

1.2. „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ პროგრამის „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის მომსახურების შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება **"15600„ (თხუთმეტი ათას ექვსასი** ლარით და ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ობიექტი

3.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“):

3.1.1. **ძუძუს კიბოს სკრინინგი** (ხელოვნური კოდი - **161101**, ერთეულის ღირებულება - 18,07 ლარი) 40 - 70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში -რომელიც მოიცავს:

ა) მამოლოგის გასინჯვას;

ბ) მამოგრაფიულ გამოკვლევას (2 რადიოლოგის მიერ წაკითხვით);

3.1.2. **ძუძუს კიბოს სკრინინგი** (ხელოვნური კოდი - **161101-1**, ერთეულის ღირებულება - 7,15 ლარი) 40 - 70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში -რომელიც მოიცავს:

ა) ექოსკოპიურ გამოკვლევას, რადიოლოგიურად დადასტურებული საჭიროების შემთხვევაში; ექოსკოპიური კვლევა ჩაუტარდება მხოლოდ იმ პაციენტებს, რომეთაც გაკეთებული აქვთ მამოგრაფიული გამოკვლევა და მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მამოგრაფიული კვლევების 20%-ს.

3.1.3. **საშვილოსნოს ყელის სკრინინგი** (ხელოვნური კოდი - **161102**, ერთეულის ღირებულება - 13,70 ლარი) 25 - 60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში - რომელიც მოიცავს:

ა) გინეკოლოგის გასინჯვას;

ბ) პაპ-ტესტის (PAP-ტესტი) ჩატარებას, ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით.

3.1.4. **საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი** (ხელოვნური კოდი - **161103**, ერთეულის ღირებულება - 15 ლარი) 25 - 60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში - რომელიც მოიცავს:

ა) საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, კოლპოსკოპიის ჩატარებას;

ბ) საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, კოლპოსკოპიის ჩატარების შემდეგ, აღებული ბიოფსიური მასალის შეგროვებასა და სკრინინგ ცენტრში გამოგზავნას, მორფოლოგიური გამოკვლევისთვის.

3.1.5. **პროსტატის კიბოს სკრინინგი** (ხელოვნური კოდი - **161105**, ერთეულის ღირებულება - 8,5 ლარი) 50 - 70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცებში - რომელიც მოიცავს:

ა) სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის გამოკვლევას;

3.1.6. **კოლორექტული კიბოს სკრინინგი** (ხელოვნური კოდი - **161106**, ერთეულის ღირებულება - 5,5 ლარი) 50 - 70 წლის ჩათვლით, ორივე სქესისათვის - რომელიც მოიცავს:

ა) ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის ჩატარებას;

3.1.7. **კოლონოსკოპიური სკრინინგი** (ხელოვნური კოდი - **161107**, ერთეულის ღირებულება - 56 ლარი)50 - 70 წლის ჩათვლით, ორივე სქესისათვის - რომელიც მოიცავს:

ა) საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, კოლონოსკოპიის ჩატარებას;

ბ) საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, კოლონოსკოპიის ჩატარების შემდეგ, აღებულიბიოფსიური მასალის შეგროვებასა და სკრინინგ ცენტრში გამოგზავნას, მორფოლოგიური გამოკვლევისთვის.

3.1.8. **საშვილოსნოს ყელის სკრინინგი** (ხელოვნური კოდი - **161102 -1**, ერთეულის ღირებულება - 5,70 ლარი) 25 - 60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში - რომელიც მოიცავს: ციტოლოგიური კვლევის ჩატარებას ეროვნული სკრინინგ ცენტრის ორი კონტრაქტორი ორგანიზაციისთვის, რომლებიც მონაწილეობენ „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის" პროგრამის „კიბოს სკრინინგის" კომპონენტის ფარგლებში. ორგანიზაციების დასახელებებია:

3.1.8.1. შ.პ.ს. "ბომონდი"

3.1.8.2. შ.პ.ს "აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი"

„მიმწოდებელი" ვალდებულია კურიერული სამსახურით უზრუნველყოს PAP ნაცხის მინების ტრანსპორტირება ოავის ლაბორატორიაში, ციტოლოგიური დასკვნის დაწერა და ელექტრონული სახით დიაგნოზების მიწოდება აღნიშნული კონტრაქტორებისთვის.

3.1.9. გამოსაკვლევ პირებისთვის პირველადი სკრინინგის (როდესაც ბენეფიციარს აღნიშნულისკრინინგი პროგრამით უტარდება პირველად) ჩატარება ერთჯერადად;

3.1.10. მეორადი სკრინინგი ტარდება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ექიმის რეკომენდაციით;

3.1.11. სკრინინგული კვლევის ჩატარება განმეორებით, შესაძლებელია რეკომენდირებული პერიოდებით:

ა) ძუძუს კიბოს სკრინინგი - ორ წელიწადში ერთხელ;

ბ) საშვილისნოს ყელის კიბოს სკრინინგი-სამ წელიწადში ერთხელ;

გ) პროსტატის კიბოს სკრინინგი - ყოველწლიურად;

დ) მსხვილი ნაწლავის სკრინინგი- ორ წელიწადში ერთხელ;

3.1.12. სკრინინგის შედეგების სტატისტიკური ანალიზი და შედეგების წარმოდგენა ეპიდემიოლოგიური ანალიზის სახით;

3.1.13. ქვეკონტრაქტორის ქმედება უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო პროგრამის ძირითადამოცანებს.

4. გაწეული მომსახურების (შესყიდვის ობიექტის) ხარისხი

4.1. გაწეული მომსახურების (შესყიდვის ობიექტის) ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზებს და გამოსწორების ვადებს. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების (შესყიდვის ობიექტის) ნაკლის აღმოფხვრას.

5. მომსახურების გაწევის (შესყიდვის ობიექტის) ადგილი, ფორმა და ვადები

5.1 მომსახურების" გაწევის ვადა: ვრცელდება 2016 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე და სრულდება 2016 წლის 31 დეკემბერს.

5.2 „მომსახურების" მიწოდების ადგილი/ადგილები -ქ. ქუთაისი, ს. მესხის #67

5.3 გაწეული მომსახურების ანგარიშგების ადგილი - ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №69;

5.4 გაწეული მომსახურების ანგარიშგების ფორმები და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჩატარების დეტალური ინსტრუქცია გაეგზავნება „მიმწოდებელს" მითითებულ ელექტრონულს ფოსტაზე, E-Mail: "centerHERA@gmail.com" №1 დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

5.5 „მიმწოდებელს" მომსახურება შეუძლია გაუწიოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოქალაქეს გარდა თბილისისა.

6. გაწეული მომსახურების (შესყიდვის ობიექტის) მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „მიმწოდებელი“ ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით, მის მიერ გაწეული „მომსახურების“ შესახებ, ხელშეკრულების „5.4“ და „5.5“ პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
6.2 „შემსყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში,„მიმწოდებელი“ვალდებულია,წარმოადგინოს სრული წერილობითი ინფორმაცია, „მომსახურების“ მიმდინარეობის შესახებ;
6.3 „მიმწოდებელი“ სრულად აგებს პასუხს, მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. „მიმწოდებელი“ ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას, დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს“;
6.4 არასწორად, არასრულად ან არაკორექტულად წარმოდგენილი „ანგარიშსწორების ფორმა“ უბრუნდება „მიმწოდებელს“, მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან, შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს;
6.5 „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებელს“ შორის მომსახურეობის შესრულებაზე ყოველთვიურად განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეძლევა მიმწოდებელს;
6.6 „შემსყიდველი“ ითვალისწინებს, რომ „მიმწოდებლისათვის“ სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება;
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება: ლარში;
7.3 ანაზღაურება განხორციელდება მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის და მომსახურების ერთეულის ღირებულების შესაბამისად;
7.4 ანაზღაურება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების, ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
8.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს;
8.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
8.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით, „შემსყიდველის“ დაკვეთას;
8.2.2 აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას;
8.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი;
8.2.4 აწარმოოს დოკუმენტაცია „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებისა და კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად;

8.2.4 პაციენტების რეგისტრაცია აწარმოოს ეროვნული სკრინინგ-ცენტრის მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, აღნიშნული პროგრამის გამოყენება ქვეკონტრაქტორმა უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა - პროგრამის ინსტალაციიდან. პროგრამის საინსტალაციო სამუშაოები განხორციელდება ეროვნული სკრინინგ-ცენტრის მიერ ქვეკონტრაქტორთან შეთანხმებით.

8.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
8.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილობელი შესრულება;
8.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;
8.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის“ ისეთი ვალდებულება, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით;
8.3.4 საჭიროების შემთხვევაში დააწესოს „მიმწოდებლისთვის“ გასაწევი მომსახურეობის რაოდენობის ყოველთვიური მინიმალური და/ან მაქსიმალური ზღვარი, და აცნობოს „მიმწოდებელს“ აღნიშნულის შესახებ წერილობითი სახით.
8.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
8.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ მიწოდებული „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით;
8.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა;

8.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის;
8.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო;
8.4.5 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პირგასამტეხლო)

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა;
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელმა“ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე უარი განუცხადა პროგრამის მოსარგებლეს, ან მომსახურება გაუწია დაგვიანებით (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გარდა), ან არასრულად, ან უხარისხოდ, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა გასაწევი/გაწეული „მომსახურების“ ღირებულების სამმაგი ოდენობით;
9.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
9.4. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებლი“ უარს განაცხადებს ხელშეკრულების შესრულებაზე (მ.შ. სახელმწიფო პროგრამიდან გასვლის შემთხვევაში, „შემსყიდველისათვის“, 2 თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გარეშე), იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების სამმაგი ოდენობით;
9.5. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება;
9.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
9.7. „შემსყიდველს“ შეუძლია ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
9.7.1. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში;
9.7.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება სრულად, ან დადგენილ ვადებში;
9.7.3 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;
9.7.4. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
9.7.5. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.
9.8.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
9.9 „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორსმაჟორული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

10.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.5 ხელშეკრულების 10.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა თანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

11.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

12. გამოსაყენებელი სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

14. ურთიერთობა მხარეებს შორის

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ხელშეკრულების შესაბამისად, ერთი მხარე, უგზავნის მეორე მხარეს, ხელშეკრულებაში მითითებულმისამართზე, შესაძლებელია, გაიგზავნოსმატერიალიზებული წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით;

14.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

15.2. „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება, „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა;

15.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა;

15.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში, მხარეები, დაუყოვნებლივ, წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

16. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

16.1. „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად, „მომსახურების“ მიზნობრივად გატარების შესახებ, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

16.1.1. უშუალოდ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რომელიც შეეხება ყოველთვიური „მომსახურების“ პერიოდს (ან „მომსახურების“ დასრულებულ ციკლს);

16.1.2. არ აანაზღაუროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შედეგად არაკორექტულად მიჩნეული „გაწეულიმომსახურების“ ხარჯები, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

16.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საანგარიშგებო დოკუმენტების ინსპექტირების ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 22 სამუშაო დღე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან;

17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 28 თებერვლის ჩათვლით;

17.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ასევე „მომსახურების“ გაწევის ვადა, შესაძლებელია შეიცვალოს ორივე მხარის მიერ, შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული შეთანხმება თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

17.4. მხარეებს შორის ურთიერთობა წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის,ასევე, მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

18. დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება და დამატებითი შეთანხმებები დგება ორ, თანაბარძალოვან ეგზემპლარად, საიდანაც ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“;

19. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:
ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“
ს/კ: 202442730
იურიდიული მისამართი:
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. № 69
საბანკო რეკვიზიტები:სახელმწიფო ხაზინა
SWIFT კოდი: TRESGE22
შემოსავლის სახაზინო კოდი 743147499
ანგარიშის №:GE24NB033011002001650 22

დირექტორი :

რემა ღვამიჩავა

ბ.ა.

„მიმწოდებელი“:
შპს ქალთა ჯანმრთელობის ცენტრი ჰერა
ს/კ: 221286855
იურიდიული მისამართი:-
ქ. ქუთაისი, ს. მესხის # 67
მომსახურე ბანკი: თბს ბანკი, ქუთაისის ფილიალი
SWIFT კოდი: TBCBGE22
ანგარიშის №: GE18 TB03 9543 6080 1000 06

დირექტორი:

მარინე დავითულიანი

ბ.ა.